ტფილისი

№ 24
იანვრის 30, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 24
იანვრის 30 ხუთშაბათი 1903
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

უგანათლებულესი თავადი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის-ძე მინგრელსკი აუწყებს ნათესავთა და პატივის-მცემელთ რომ ქ. პეტერბურგში 24 იანვარს გარდაცვალებულის ძვირფასის თვისის მამის

უგანათლებულესის თავადის ნიკოლოოზ დავითის ძის მინგრელსკის

ვამი გადასვენებულ იქმნება ახალ-სენაკის სადგურზედ კვირას, 2 თებერვალს, საღამო ამს, ხოლო იქიდან მეორე დღეს—მარტვილს, სადაც დაკრძალულ იქმნება სამეგრელოს ლობელთა საგვარეულო სამარხში. დასაფლავება დანიშნულია ოთხშაბათს, 5 თებერვალს. მგზავრო მატარებელი თითო საათს გაჩერდება შემდეგს სადგურებზედ: ტფილისს, რს, რიონს, სამტრედიას. რიონის სადგურზედ მატარებელი მივა საღამოს 4 საათსა 42 წუთზედ პეტერბურგის დროს მიხედვით. (4—6—1)

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წრა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილეისთან.
აჭოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საგურამოში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი ვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

ფასი გაზეთისა 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 7-თ—6 მ. 50 კ., 6 თ.—6 მ. 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

☞ **ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.** ☜

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

№ 33. ტელეფონი № 176

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 იანვარს, 1903 წ.

◆ **ბენეფისი მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა** ◆

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ალლუმი

კომედია 4 მოქმედ.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: მ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ნ. გამრეკელიძისა, ოლ. ლეჟავა, რიონელი, ჩურქეზიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამრეკელიძე, ბ. ბედევანოვი, ვ. გუნია, მესხი, ს. სვიმონიძე, ი. ივანიძე, შაიირიშვილი, საფაროვი, ჟღენტი და სხ.

II

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ ოპერის არტისტები: ქ.ქ. გამინსკისა, არციბაშევისა; ბ.ბ. შტეინბერგი, ტომაშევიჩი, სოლსკი და თავ. ი. ბარათაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მზადდება წარმოსადგენად **„მიკუნჭული ბედნიერება“**, „ნორა“, „სიძე-სიმამრი“, „ჩატეხილი ხიდი“, „დარღვეული კერა“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესს ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ისყიდება

ვერაზედ. სათავად-აზნაურო სკოლის შენობის პირდაპირ, სამოსახლო 300 საჟ.

მიწა

იკითხეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში შიო ქუჩუკაშვილთან და ან წიგ. გამოემცემელ ამხანაგობის კიოსკში, ალექსანდრეს ბაღის თავში ელისაბედ მესხიშვილთან. (10—ნ.—9).

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. ზძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ადევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ზრ. მ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ ოთხშ. და შაბათი. 11½—12½.
ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით **და** პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი სახალხო იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკა და სამკითხველო (ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებისა), რომელიც მოთავსებული არის კანცელარიის გვერდით, ყოველ დღე ღიაა: დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ხოლო კვირა-უქმე დღეს დილის 11—1 საათამდე, სადაც შეუძლიანთ მსურველთ ყოველთვის ისარგებლონ რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებით და ქართული წიგნებით, როგორც იქ წაკითხვით, ისე სახლში წაღებითაც. (3—მ.—1)

ტფილისი

◆ პეტერბურგში გამოფენაა ამ ჟამად ყოველგვარ ისტორიულ ტანისამოსისა. ამ გამოფენისათვის ტფილისშიაც დაამზადეს თოჯები ჰიპსისა, ჩააცვეს ჩვენებური ტანისამოსი და ამ დღეებში ჰგზავნიან გამოფენაზედ. თოჯები ჰიპსისა დაამზადა ჩვენმა ახალგაზდა მექანდაკემ ბ-ნმა ი. ნიკოლაძემ. თოჯები სულ ოთხია: მოხუცი თავადიშვილი, ახალგაზდა ქართველი, თავადიშვილის ქალი და ხევსური ჯავშან-ჩაჩქანით. ყოველ ამის ხარჯი შეგროვილ იქმნა ხელის მოწერით. თოჯები პეტერბურგს მიაქვს თვით მოქანდაკეს, ბ-ნს ნიკოლაძეს, რადგან წასაღებად დაშლილს თოჯებს იქ კვლავ მცოდნე კაცი მოუნდება ხელახლად შესაკრებლად. მოქანდაკეს წასვლა-მოსვლისა და პეტერბურგს ცხოვრების ხარჯი, როგორც გავიგეთ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა იკისრა.

◆ დღეს ქალაქის სადგურში დანიშნულია ქალაქის სკოლათა კომიტეტის წევრთა კრება.

◆ დღეს დანიშნულია ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს 19 იანვარს ქალაქის საბჭოს დადგენილება ქალაქის სკოლათა კომიტეტის შესახებ.

◆ პარასკევს, 31 იანვარს, ქალაქის გამგეობა განიხილავს ბ-ნ კოკჩაევის მოხსენებას, ქანდაროვის სამექანიკო პურის საცხობის შეძენის შესახებ.

◆ ინჟინერ კირაკოზოვის მიერ შედგენილი მოხსენება საჰიდრავლიკო ელექტრონის სადგურის გამართვის შესახებ უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ხმოსნებს შინაარსის გასაცნობად; ამ ახლო მომავალში განიხილავს მოხსენებას თვით ქალაქის საბჭოც.

◆ როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, შაბათს ტფილისში ჩამოვა ვლ. ალექსი-მესხიშვილი სამკურნალოდ. შემდეგ ავადმყოფი არტისტი გაემგზავრება საზღვარგარედ.

◆ სახაზინო პალატას მიუმართავს ტფილისის გუბერნატორისათვის და უთხოვნია, ილონეთ რამე, რომ ტფილისის გუბერნიის მემამულეებმა მალე წარმოადგინონ მამულების გარდასახადი ხაზინაშიო.

◆ დღეს ქართულ თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ, ქ-ნ მ. მ. საფაროვი-აბაშიძის საბენეფისოდ, წარმოდგენილ იქნება ოთხ მოქმედებიანი კომედია გუნიასი, „ალლუმი“. ნუცას როლს კომედიაში აასრულებს თვით მობენეფისე.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მიჰმართა ქალაქის თავს და აუწყა, რომ 19 იანვარს ქალაქის საბჭოსაგან დადგენილება ქალაქის სკოლათა კომიტეტის შესახებ, საგუბერნიო მთავრობამ შეაყენაო.

◆ შაბათს, 1 თებერვალს, დანიშნულია კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება. კრება განიხილავს სხვათა შორის, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ აღძრულ საგანსაც—რა საშუალებით შეიძლება შემცირდეს მცხოვრებთა შორის მამულების დაჩემება და მათ შორის დავი-დარაბის მოსპობა.

◆ როგორც გარდმოგვცეს, ქალაქში განუზრახავთ შეაგროვონ საჭირო თანხა და საბოლოოდ დაამთავრონ რობის მიერ დაწყებულ ფუნიკულერის გამართვის საქმე მამა დავითის მთაზედ; ამის გამო უკვე მოლაპარაკება აქვთ ტფილისის საზოგადოებასთან. ამ საქმეს დასჭირდება სამასი-ათას მანეთამდე. ნახევარს ამისას უსახელო საზოგადოება იკისრებს, ნახევარი აქციებით შესდგებაო.

◆ ტფილისის საგუბერნიო მმართველობა უკვე შესდგომია იმის გამოძიებას, თუ სად და სად დაუყრია კალიას თესლი, ან რამდენი ადგილებია თესლით მოდებული და რა დაუჯდება მთავრობას, რომ ეხლავე შეუდგეს კალიის თესლის მოსპობას, რომ უვნებელ ჰყოს მცხოვრებლის ნახნავ-ნათესიო; ამის გამოისობით საგუბერნიო მთავრობას ოფიციალურად მიუმართავს მაზრის უფროსებისთვის და უთხოვნია შეჰკრიბეთ დაწვრილებითი ცნობანი და მოგვაწოდეთ რაც შეიძლება მალეო.

◆ ტფილისის გუბერნიაში და კერძოდ გორის მაზრაში, როგორც იუწყებიან, გაჩენილა სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა; სოფ. ტყვიავში გაჩენილა ყვავილი, სოფ. ერთაწმინდაში—ყივანახველა და წითელ; მცხოვრებნი ძალიან შეწუხებულნი არიან უექიმობისა გამო და იმედია, გუბერნიის ექიმი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც გულშემატკივრობას გამოიჩენს და დახმარებას აღმოუჩენს გაჭირებულთ.

◆ სოფელ ერთაწმინდიდგან არა სასიამოვნო ამბები მოგვივიდა: ვისაც ერთი-ორი სული ცხვარი ჰყავს, დიდ შევიწროებაშია თურმე ერთაწმინდელ აზნაურშვილების ახალ განკარგულების შემოღებით; საქმე ის არის, რომ ცხვრის პატრონი გლეხ-კაცი, ამათ განკარგულების ძალით, იხდის საბალახეს და ეს მა'შინ, როცა ზოგიერთ აზნაურშვილს არცკი მოეპოვება 15—20 დღის მამული; გლეხკაცები მით უფრო გულ ნატკენები არიან რომ აზნაურების მამულები დაფანტული აქა-იქ და ძნელად ერთ ალაგას შეხვდებ 7—8 დღის მიწას; ამის გამო გლეხებს გან რახვა აქვთ თურმე მიმართონ სამართალს შეიტყონ, ეკუთვნით ამ აზნაურებს საბალახ თუ არა.

◆ მუხრანის ბორნის მოიჯარადრემ ბ დაგოვმა, საგუბერნიო მთავრობის განკარგულებით, შესწყვიტა ხალხის გადაყვან-გადმოყვანა; გუბერნიის ამშენებელ განყოფილ უმტკიცებდა მოიჯარადრეს, რომ ბორანი ს შიშია და უნდა შეკეთდესო; ქალაქის გამგ ობამ თავის მხრივ დაათვალიერა ბორნ მომართულება და სცნო, რომ მხოლო ბორანზედ ჩასასვლელი ფიცრებია უსწორ მასწორდ დაწყობილი, თვით ბორანი-კი გდენს საშიშოს არას წარმომდგენს და შე

ლება მისი მუშაობაო; ახლა, როგორც შევიტყეთ, ბორნის მაგივრად, ზოგიერთ მალაკნებს შეუკრავთ ნავტიკები, ამითი გადაჰყავთ და გადმოჰყავთ ხალხი და ახდევინებენ ფულსა; კარგი იქნება, პოლიციამ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება, რადგანაც ნავტიკებით გადაყვან-გადმოყვანა ხალხისა საშიშოა.

◆ დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ კრება დანიშნულია 2 თებერვლისათვის.

◆ სოფ. გლდანში— ტფილისის მაზრა— გაჩენილა რაღაც ავადმყოფობა, რომელიც დიდძალს ღორს ჰჟლეტავს. სოფელს ზარალი დიდი მოელის, თუ საჩქაროდ არ იქმნა მიღებული ღონის ძიება ამ სენის წინააღმდეგ.

◆ 25 იანვარს კავკავში დაიწყო თერგის ოლქის მევენახეთა და მეღვინეთა კრება.

◆ სიღნაღის ქალაქის გამგეობისათვის, როგორც გვატყობინებენ, მაზრის ექიმს ბ-ნ ნაუმენკოს ურჩევია, ღარიბთა დამხმარებელი საზოგადოება დაარსეთ, რადგან მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას იტანენ სიღარიბისა გამოო. ამ წინადადების შესახებ ქალაქის გამგეობას მოკლე ხანში ექმნება მსჯელობა.

◆ ოთხის წლის ბავშვს კლავდია რობლონენკოს, წაეკიდა ცეცხლი და დაეწვა მთლად ტანი; მორჩენა საუთოვოა; ცეცხლი ბავშვს უპატრონობისა გამო მოსდებოდა.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

25 იანვარი (მეჩვიდმეტე სხდომა).

შემდეგ ასტყდა მსჯელობა იმ §-ის შესახებ, რომელთაც რამოდენსამე წვრილ მრეწველს (ვისაც შემუშავებულ, ან გაზიდულ მადნის რაოდენობა საკუთარ კენჭს არ არ აძლევს), შეუძლიათ შეერთდნენ, რომ ხმა მოიპოვონ; მხოლოდ ვექილობა ერთ-ერთ მონაწილეს უნდა გადაეცეს და არა გარეშეს.

ბ. ემერიკი ამტკიცებდა,—ეს უფლების შეზღუდვაა; რატომ არ უნდა ჰქონდეთ ნება ასეთ მრეწველებს, რომ სხვას გადასცენ ვექილობა; ეს იურიდიულადაც შესაძლებიაო.

ბ. გ. ზდანოვიჩი ეჭვს აცხადებს, რომ იურიდიულად შესაძლები იყოს ამ გვარ ვექილობის გადაცემა, რადგან სათითაოდ მონაწილეებს არა აქვთ ხმა, და იურიდიულად შეუძლებელი უნდა იყოს ისეთ რისამე გადაცემა სხვისათვის, რაც არა გვაქვს.

თავ. ჰ. წულუკიძე. ჩვენ ისა გვსურს, რომ თვით მრეწველნი ესწრებოდნენ კრებებს და ყურადღებით ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს, თორემ გარეშენი მხოლოდ ხელს გვიშლიან და საქმის არც არა გაეგებათ-რა და არც გული შესტკივათ.

უმეტესობამ გადასწყვიტა, უცვლელად დარჩეს ეს § იო.

გ. ოჯანეზოვი. ბატონებო, წინა §-ს მივუმატოთ, რომ იმ მრეწველს, რომელსაც 4 ხმა ექნება, ნება არა ჰქონდეს სხვისი ვექილობითაც მიიმატოს კიდევ ხმები (ხანგრძლივი ტაში).

დიდი ლაპარაკი გამოიწვია იმ საკითხმა, როდის უნდა შესწყდეს ვექილობათა წარდგენაო. ბ. ემერიკი და მისი მომხრენი იმ აზრისა იყვნენ, რომ კენჭის ყრის დაწყებამდე არ უნდა შევსწყვიტოთ ვექილობათა მიღებაო.

ამ წინადადებას ბევრნი წინააღუდგნენ და თხოულობდნენ, რომ ვექილობათა მიღება კრების დაწყების რამდენისამე დღის წინად მოისპოსო.

თავ. კ. თუმანიშვილი. ბატონებო, ჩვენ მარტო იმისთვის-კი არ უნდა ვესწრებოდეთ კრებას, რომ კენჭი ჩავაგდოთ; საჭიროა მოვისმინოთ მსჯელობა, კამათი, გავითვალისწინოთ და ავსწონ-დავსწონოთ საქმე, ერთის სიტყვით შეგნებით მოვეკიდოთ ჩვენს საქმეს, თორემ, რა აზრი აქვს, მხოლოდ იმიტომ გამოცხადდე კრებაზე, რომ ვისმე თეთრი ან შავი კენჭი მისცე (ტაში).

ბ-ნი კოვალევსკი. ბატონებო, უნდა დავადგინოთ აგრეთვე, რომ ვექილობის უკანვე დაბრუნება კრების დასრულებამდე აღარ შეიძლებოდეს; თორემ არასა ჰგავს, დღეს ვექილობას მოგცემენ და ხვალ ისევ წაგართმევენ!

ბ-ნი სოლ. წერეთელი. (ღიმილით) ვინც ბ-ნ კოვალევსკის კენჭი დაუთმო, პირობაც ჩამოართვა,—სოლ. წერეთლის რჩევა-დარიგებით იხელმძღვანელეთ უსათუოდაო. შემდეგ გაიგო იმ კაცმა, რომ ბ-ნი კოვალევსკი ჩემი მოპირდაპირე ყოფილა და, რასაკვირველია, ჩამოართვა ვექილობა. (ხანგრძლივი სიცილი-ტაში).

მიღებულ იქმნა ბ-ნი დ. ბაქრაძის წინადადება,—ვექილობათა მიღება უნდა შესწყდეს 2 დღის წინ მორიგ კრებამდე, ხოლო არაჩვეულებრივი კრების დროს, სანამ კრება დაიწყებოდეს.

შემდეგ ამისა ბ-ნმა მიხაილოვმა წაიკითხა მოხსენება მადნის მექანიკურ ჩამოსაზიდისა და გზა-ტკეცილების მოწყობის შესახებ; ავტორს მინდობილი ჰქონდა შეედგინა საერთო პროექტი ყველა მღვიმე-მაღაროებისათვას საზოგადოდ, მაგრამ ეს პროექტი ჯერ ვერ დაუმთავრებია, რადგან მეტად რთული აღმოჩდარა. გარდა ამისა, ინჟ. მიხაილოვის აზრით, იმდენად ძნელი საქმეა ამ ჩამოსაზიდების ერთბაშად განხორციელება, რომ მრეწველნი თავის საშუალებით ვერას გზით ვერ შესძლებენ მის განხორციელებასაო. ჩემის აზრითაო,—სთქვა ორატორმა,—მხოლოდ ნაწილ-ნაწილად შეიძლება განხორციელება ამ პროექტისა და, თუ კრება საჭიროდ სცნობს, ცალ-ცალკე შევიმუშავებ ყოველი უბნის გეგმასაო. მე პირობით ვიყავი შეკრული, რომ მთავარი პროექტი შემედგინა და კიდეც მივიღე ნაწილი სასყიდლისა. თუ ეხლა კრება საჭიროდ აღარა სცნობს, რომ დავამთავრო იგი, მე უარს ვამბობ დანარჩენ სასყიდელზეო.

ექ. ჭიჭინაძე. რადგან გულწრფელად აღიარა ინჟ. მიხაილოვმა, შეუძლებელია ამ პროექტის განხორციელებაო, ჩვენ მეტი რა დაგვრჩენია, რომ სრულიად დავანებოთ თავი ამ პროექტს, მხოლოდ სამწუხაროა, რომ ტყუილუბრალოდ დავკარგეთ ეს ამოდენა ფული პროექტში. როგორც მესამე კრებაზე იყო ლაპარაკი, ეს საქმე კონცესიონერებისათვის უნდა გადაგვეცა; თუ ვერ განხორციელდებოდა ეს საქმე, ფული მაინც აღარ დაგვეხარჯებოდა პროექტში; ამის ბრალი სრულიად საბჭოს თავგასულობას ედებაო.

ინჟ. მიხაილოვი. ჩემი პროექტი თითქმის დამთავრებულია, სასყიდელი-კი მხოლოდ $^2/_3$ მაქვს მიღებული; გარდა ამისა, ვისაც უნდა ეთავებინა ეს საქმე, სულ ერთია, უსასყიდლოდ არავინ დასთანხმდებოდა გეგმის შედგენას; ჩემი პროექტი ისეთს მასალას შეიცავს, რომ ყველასათვის გამოსადეგი იქნება; ასე რომ ის ფული, რაც ამ პროექტისათვის დაიხარჯა, არაოდეს არ უნდა ჩაითვალოს დაკარგულად. შეიძლება ჩემი შრომა დიდს არას წარმოადგენდეს, მაგრამ გაცილებით მეტი-კი ჰღირს იმაზედ, რაც დაიხარჯა.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ექ. ჭიჭინაძე ჰგონებს, ვითომ რომელიმე ფირმა უსასყიდლოდ იტვირთებდა პროექტის შედგენას. ყური მოუკრავს ზარის რეკისათვის, მაგრამ ის-კი აღარ იცის, სადა ჰრეკენ. რამდენსამე ფირმასთან მქონდა მოლაპარაკება, მაგ., ცნობილმა კოპპელის ფირმამ მიპასუხა, თუ ჩვენ მოგვცემთ კონცესიას, რასაკვირველია, პროექტსაც ჩვენ ვიკისრებთ, თუ არა და პროექტში ამდენი და ამდენი უნდა მომცეთო, გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენ მიჰაილოვს აღვუთქვით. აბა, ვინ იკისრებდა უსასყიდლოდ პროექტის შედგენას. სხვა ფირმების პირობები კიდევ უფრო სამძიმო იყო ჩვენთვის. ექ. ჭიჭინაძე გამომდგარა და დაცინვით გვეკითხება, აი, რას ნიშნავს თავგასულობაო (ტაში).

ექ. ჭიჭინაძემ განაცხადა, მესამე კრაბაზე კონკურსის შესახებ იყო ლაპარაკი, და თუ ეს არა ყოფილა, მესამე კრების ანგარიშიდგან გვაჩვენონ: მაგრამ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში მოჰყვნენ და აღარ იციან, როგორ დააღწიონ თავი. (ტაში ქანდარაზე).

ბ-ნმა ი. გამყრელიძემ წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, რომ ჭიათურაში მეტად გაძვირებულია საზოგადოდ ხის მასალა და განსაკუთრებით შეშა, თუმცა მახლობლად უდევს სამი მდიდარი ტყიანი ადგილიო. საჭიროა მხოლოდ რომ გზები შევაკეთოთ, რაღაც 10—12 ათასი მანეთი დაგვიჯდება, მაგრამ სამაგიეროდ 100,000 მანეთის სარგებლობა გვექნებაო. მომხსენებელი ტაშით დააჯილდოვეს.

ბ-ნი გ. ემერიკი. გასულ კრებაზედაც ვამბობდი და ეხლაც იმ აზრისა ვარ, მრეწველთა კრებას ღონე არ შესწევს თავად განახორციელოს ოდესმე მექანიკურ ჩამოსაზიდების საქმე, არც საჭირო თანხა მოგვეძევება, არც არავინაა თავმდები, რომ ყოველი ხარჯი ამაოდ არ ჩაგვივლის. განა სახუმრო საქმეა, რომ ხელი მივყოთ, დავიხარჯოთ და ვეღარც სისრულეში მოვიყვანოთ? ამ გვარ საქმეებს ყველგან და ყოველთვის კონცესიონერებს მიანდობენ ხოლმე და ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ჩვენ უცხოელ კონცესიონერებთან გვქონდა მოლაპარაკება, მაგრამ ისეთი პირობები მოგვთხოვეს, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა მათთან საქმის დაჭერა; სხვათა შორის, ერთმა საზოგადოებამ მოგვთხოვა, ერთ მილიონ ნახევარი დაჯდება ჩამოსაზიდთა მოწყობა და ეს ფული ხუთის წლის განმავლობაში უნდა მიზღოთო. მე წინააღმდეგი არა ვარ იმისა, რომ კონცესიონერებს ჩავაბაროთ ეს საქმე, მხოლოდ გეგმა უკვე მზადაა თითქმის და, რატომ არა გნებავთ, რომ დავამთავროთ, ხომ გამოგვადგება მაინც, კონცესიიანერებს გადავსცემთ, თუ ჩვენ თვითონ ვიკისრებთ ამ საქმეს. ჩემის აზრით, უსათუოდ უნდა დავასრულებინოთ ბ-ნ მიხაილოვს ეს შრომა.

თავ. ჰ. წულუკიძემ განაცხადა, ევროპის ზოგიერთი დიდი ქალაქები დიდად ჰნანობენ, რომ თავიანთი საქმეები კერძო კონცესიონერებს ჩაუგდეს ხელში, და ეხლა-კი დარწმუნდნენ, რომ ამით ბევრი წააგეს. ეს საზოგადოებანი მდიდრდებიან, მილიონობით რჩებათ მოგება. ეხლა კი თუ რამ საქმეები აქვთ, თვითვე აკეთებენ და მოგებაც მათვეთ რჩება. რად უნდა შევიკრათ ხელ-ფეხი, რად უნდა გადავსცეთ სხვას ის, რასაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენთვის? თუ მაინცა და მაინც უკონცესსიოდ ვერას გავხდებით, იმ პირობით უნდა გადავსცეთ ეგ საქმე, რომ ხარჯის ანაზღაურების შემდეგ ჩვენვე დავეპატრონოთ. მე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ ბ-ნმა მიხაილოვმა საბოლოოდ შეიმუშაოს და დაამთავროს თავისი გეგმა.

ბ-ნი გ. ემერიკი. ეს ჯერ კიდევ არავინ იცის, როდის უკეთ იქცეოდნენ დიდი ქალაქები,—როცა კონცესიონერებს აბარებდნენ თავიანთ საქმეებს, თუ ეხლა, როცა თვით აკეთებენ. ჩემის აზრით, ერთის უკიდურესობიდგან მეორეში ჩასცვივდნენ. რაიცა შეეხება ბ ნ მიხაილოვის გეგმას, კიდევ ვიტყვი, რომ სრულიად საჭირო აღარაა იგი, თუ ჩვენ თვითონ არ გვექნება საშუალება მისის განხორციელებისა. რაც უნდა კარგი იყოს იგი, კონცესიონერებს შეუძლიათ არ მოიწონონ და ტყუილად ვეწევით ხარჯსა.

ბ-ნი ს. ქვარიანიც იმ აზრს ადგა, რომ საჭირო აღარაა ინჟ. მიხაილოვის გეგმა და ტყუილად ნულარ ვიხარჯებითო; რადგან ბ. ქვარიანი ხმა-დაბლა ლაპარაკობდა, თავმჯდომარემ შეჰნიშნა,—თუ შეიძლება, ხმა-მაღლა ილაპარაკეთ, თორემ შემდეგ მდივანს დაუწყებთ საყვედურებს,—ჩემი სიტყვა გამოტოვებულია, ან დამახინჯებულიაო.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი მდივანს არავითარი შიში არ მოელის ამ მხრით: ბ. ემერიკის სიტყვა ხომა აქვს ჩაწერილი და ეს-კი მისი განმეორებაა (სცილი).

დიდის უმრავლესობით გადასწყდა, რომ ინჟ. მიხაილოვმა დაამთავროს თავისი გეგმა და გადასცეს საბჭოს.

კრება $3^1/_2$ საათზე დასრულდა.

27 იანვარი (მეთვრამეტე სხდომა)

კრება დაიწყო $11^1/_2$ საათზე. მცირეოდენ შესწორების შემდეგ ოქმი დამტკიცდა.

სიტყვა ითხოვა თ-დმა კ. გურიელმა. თავმჯდომარემ უპასუხა,—მხოლოდ ოქმის შესახებ თუ გაქვთ რაიმე სათქმელი, თორემ ისე ნებას ვერ მოგცემთო. როგორც იყო, მისცა ნება, და ორატორმა კარგა ხანს ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მრეწველნი დიდს გაჭირვებაში არიან, რადგან ჭიათურიდგან ქუთაისს გადმოხვეწილან და მთელი ერთი თვეა აქ იტანჯებიანო. მაგრამაო—დაასრულა თავისი გრძელი სიტყვა ორატორმა—ერთად-ერთ ნუგეშად ის დაგვრჩენია, რომ ჩვენთან ერთად წვალობს და იტანჯება საბჭოს თავმჯდომარეცაო.

კრებამ სიცილით იჯერა გული და ორატორი ტაშით დააჯილდოვა. შემდეგ ამისა იმ კომისიამ, რომელიც წინა კრებაზე იქმნა არჩეული წესდების პროექტის ზოგიერთ §§-თა სარედაქციოდ, წარმოუდგინა კრებას თავისი რედაქცია.

ის §-ი, რომელშიაც საბჭოს წევრთა მოვალეობაზედაა ლაპარაკი, ახალს რედაქციას ისე შეუცვლია, რომ ყოველი წევრი პასუხის მგები უნდა იყოს როგორც საბჭოს, ისე კრების წინაშეო.

თ-დი ი. აბაშიძე არ ეთანხმება ასეთს რედაქციას,—წევრნი თავის თავად საბჭოს წინაშე უნდა იყვნენ პასუხის მგებნი, და საბჭო კი ერთიანად—კრების წინაშეო. ასე რომ დავტოვოთ, წევრს შეუძლიან ურჩობა გაუწიოს საბჭოს,—შენზედ უფროსი სამსჯავრო კრებაა და იმას მივცემ ანგარიშსაო. ამ გვარად ორ-აზროვნებას ჰბადებს ახალი რედაქცია და უეჭველად ისევ ძველი უნდა დავტოვოთო.

ბ-ნი გ. ემერიკი არ ეთანხმება თ-დ აბაშიძის აზრს,—ყოველი წევრი უსათუოდ ჯერ საბჭოს უნდა ექვემდებარებოდეს და მემრე კრებასაო. მაგალითად წევრმა რომ რაიმე დააშავოს, რად უნდა გავხადოთ მთელი საბჭო პასუხის მგებლად მის დანაშაულობისათვის? ყოველი კაცი თავის ნამოქმედარს უწევს ანგარიშს. საბჭოსაც, რასაკვირველია, ზედამხედველობა ექმნება ყოველ წევრზე, მაგრამ, რადგან ისეთი უფლება არა აქვს, რომ დამნაშავე წევრის რაიმე სასჯელი მისცეს, იმას მხოლოდ შეუძლიან კრებას მოახსენოს დამნაშავე წევრის ნამოქმედარი.—კრებამ უნდა მოსთხოვოს ანგარიში. ასე რომ ყოველი წევრი ორნაირად პასუხის მგები უნდა იქმნეს, თუ გვსურს, რომ არც საბჭო დავამძიმოთ და წევრნიც მეტს მორჩილებაში ვიყოლიოთო.

ბ-ნ გ. ზდანოვიჩმა განაცხა,—კომისიას რომ ისე ჰგონებოდა, როგორც თ-დი აბაშიძე ჰფიქრობს, რასაკვირველია ამ დამატებას აღარ შეიტანდა, მაგრამ ჩვენ ისე გვესმოდა—და ვგონებ ასეც უნდა იყოს—რომ კრების წინაშე პასუხის გება არ ანთავისუფლებს წევრს საბჭოს პასუხის გებისაგანაო.

რადგან მოპირდაპირენი მაინც ვერ შესთანხმდნენ, თავმჯდომარემ პირველის ნახევარზე კრება შესწყვიტა, რომ კერძოდ მოელაპარაკნათ ერთმანეთთან.

კრების განახლებისათანავე მაინც ასტყდა კამათი; დასასრულ უმრავლესობამ გადასწყვიტა, წინანდელი რედაქცია დარჩესო.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია აგრეთვე იმ §-მა, რომელიც შეეხება სხვა-და-სხვა ამხანაგობაში მონაწილე წევრთა უფლებას. მთელ კომისიას დაედგინა,—თუ წევრნი ამხანაგობისა ცალ-ცალკე მუშაობენ, მაგრამ საერთოდ ჰგზავნიან მადანს, ან ერთად მუშაობენ, და ცალ-ცალკე ჰგზავნიან—მხოლოდ ცალ-ცალკე წარმოებისა ან გზავნისათვის უნდა მიეცეთ ხმაო.

ბ-ნმა გ. ზდანოვიჩმა კერძო აზრი წარმოადგინა ამის შესახებ,—კერძო მომუშავეს შეუძლიან საერთო გზავნაშიაც ჰქონდეს მონაწილეობა და კერძოდაც ჰგზავნოს მადანი; ასეთ მწარმოებელს ხმა უნდა ჰქონდეს როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში.

ბ. გ. ემერიკი დიდი წინააღმდეგი იყო ამ აზრისა,—ეს ყოვლად შეუძლებელია იურიდიულადაო; ყოველი ამხანაგობა არსებულს

ფელეტონი

მკითხავმა მოარჯულა

(ამბავი).

(დასასრული *)

III

— გურგენი! აბა, ეგრე მოდექ,—გამოეძრახა მეზობელი მარეხი ღობეს იქიდამ.

— როგოლაა იამზე?—ჰკითხა ღობესთან მისულს გურგენის მარეხიმ.

— იგრევ აიგრე ხაზმუზიანობს.

— ჩვენებურ მკითხავს რა ეთქვა თეონასათვინ?

— რა ვიცი, თელეთის წმინდა გიორგისაგან არიო, ვენაცვალე იმის დიდებულობას.

— რა ჰქენ, პირი ვერ დააკვრევინე თეონას იოს დასიძებაზე?

— ეჰ, სად არი, აბა!

— შენ ერთი კაი კაბა ჩამაცვი და თეონას მე მოვარჯულებ.

— ერთს-კი არა, ცხრას ჩაგაცმევდი, თუკი მაალორებდი როგორმე, მაგრამ იმედი არა მაქვ, იმას ქრიჰტე-ღმერთიც ვერ მაარჯულებს.

— მაშ მე მარეხი ნუ ვიქნები და ქეციან ძაღლს დაეხუროს ჩემი ლეჩაქი, თუ ნათქვამი ვერ აგიცხადო, გურგენი!

— აბა, როგო ამიცხადებ?

— აიგრე აგიცხადებ, რო დღესვე ცლუნკარუნ ჯვრიან მკითხავთან წავალ და...

— თეონაც აპირობს იმაჰთან, წელანაცა თქვა: მარეხის გავიყოლევ ხვალზევითო,—გააწყვეტინა სიტყვა გურგენიმ.

— დღესვე წავალ მალვით და სუ თითოთითოთ ჩაუკენჭამ მკითხავს თქვენს აქიას. მემრე ვეტყვი: იმ დედა-კაცს მე თითონ მოგიყვან საძკითხაოთ, და აბა შენ იცი, თუ ყვითელი ოქრო გინდა, იგეთ-იგეთები წაუკითხე შენი იკლიკანტრრი დავთრებიდამ, ხემწიფი შვილზედაც რო ჰყვანდეს თავისი ქალი დანიშნული, იმაზედაც ხელი აღებინოს და იოს ჩიათხოვოს-მეთქი.

— ბიჭოს! აი გიშველა ღმერთმა! ეგ რა კარგი რამ მოგიგონია!—სიხარულით წამოიძახა გურგენიმ.

— მე ეხლა მკითხავისაკენ მოვკურცხლავ, მაგრამ, ხო იცი, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, საქმე როცა დამში მოვა, უნდა მივცეთ რამე მკითხავ, რო მემრეც გამოგვადგეს რაშიმე, პირშავათ არ გამომიყვანო იმასთან, გურგენი!

— გაჰწი! გაჰწი! საქმეს მიტანება უნდა, ლაპარაკი საჭირო აღარალი, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ და ნამუსმა. რას ამოფ, ეს რო მამიხერხო, ჩემი მეორე ღმერთი გაჰხდები, გამჩენის მადლმა!

— თეონასთან არა წამოგცდეს-რა,—გააფრთხილა გურგენი მარეხიმ და გაბრუნდა.

ათი წლის ტახს წინ თხრა აღარ უნდაო,—დააარხეინა გურგენიმ მარეხი და გამობრუნდა ისიც.

IV

— დედიი, ქაა!—ღონე-მიხდილის ხმით უძახდა ჰრელი ნაბდებით მოფენილ ტახტზე ქვეშაგებში მწოლარე იამზე დედას.

— რა გინდა, შვილო, გენაცვალე?—ალერსიანად შეეკითხა მამა-გურგენი.

— დედა სად არი?

-- დილას ცლუნკანურ მკითხავთან წავიდნენ ისა და მარეხი და ეხლა საცაა მოვა, გენაცვალე. წყალი ხო არ გინდა?

— ჰო.

— აჰა, გენაცვალე, დალივე. სიცხე კიდე გაქვ, შვილო, თუ გამოგნელდა?

— გამამნელდა.

— აი ცა ქვეყნის გამჩენმა ღმერთმა ბძანოს, რო სამუდამოთ გამოგნელდეს, დედის-ერთავ და მამის იმედო! რა შავ-ქვათ გვინდა ჩვენი სიცოცხლე და ქონება, თუ შენ კარგა არ გვეყოლები,—მამობრივის გულ-მტკივნეულობით წარმოსთქვა ხმის კანკალით გულ-აჩვილებულმა გურგენიმ და მდუღარე ცრემლები გადმოედინა თეთრს წვერ-ულვაშზედ.

— ქორწილის სამზადისი დაიწყე, გურგენი! ქორწილისა! შენ რაღას ითხლიშები გოგო, მა ქვეშაგებში და ჰკნასი-ჰკნუსობ ახალ მელოგინესავით. ადე! ადე! გაიხარე, ბედის კარი გაგეხსნა, საქორწილო კაბა უნდა შაგიკეროთ ყაყაჩოსავით წითელი ფარჩისა!—ოთახში შემოსვლის უმალვე გამჰრიახად შემოიძახა მარეხიმ.

— რას ამოფ, მარეხი, მკითხავმა რა გითხრათ, რატო იმას არ გვიამბობთ?—ოსტატურად შეეკითხა ტახტზე ჩამომჯდარი გურგენი, მითომ და არაფერი ვიციო.

— იმასაც გიამბობთ, წადი შენ ქოცოს ყელი მოუღერე და სამხარი გაგვიჩალე.

— ეგ ადვილია, ჯერ მიამბე.

— უი, დამიფარე ღმერ თო განსაცდელისაგან, აწ რა საკურველება მოვიხილე, ქა! ტატა-ტა, მე აიგეთი გულთმისნურათ მოლაპარაკე მკითხავის მნახავი არა ვარ, ქრიჰტიანებო, არა! გინდა დაიჯერეთ და გინდა ნუ. იგრე ნიშნობლივ და დოჰტოლრივ მამიყოლა ყველაფერი, რო შაშვივით ყბა დავალე და პირჯვარი ვიწერე იმისი გულთმისნობით გაკვირვებულმა!—აღტაცებულის კილოთი ამბობდა თეონა.

— რა მოგიყოლა, დედაკაცო, რა, აბა ერთი ჩვენც გაგვაგებინე?—შეეკითხა გურგენი.

— რა მამიყოლა და ის მამიყოლა, რო ბედის-წერის დავთრებში იგრე ჰწერიაო, რო შენი ქალი იამზე და თქვენი მწყემსი იო ცოლ-ქმარი უნდა გახდნენო და შენ უარზე რათა ჰდგეხარო. შენ ქმარსაც ძალიანა ჰდომებია იოს დასიძება, მაგრამ შენ ვერ დაუყოლიებიხარ და ნაღველი უჭლექდებაო. შენ არბოშიკულ ოჯახიშვილზე გდომებია ქალის დანიშვნაო, ეგეთი წინამდეგობა ძალიანა ჰწყენიათ ქვეყნის ბედიმწერლებს და ავათ გაუხდიათ იამზე გაჯავრებულებსო; და აგრე ამოზენ გულ-გაბრაზებულები: ჰრაქივით გავაქრობთ და ენძელასავით გამოვლევთ იმათ ფუძეზე ძე-ხორციელს, თუ ჩვენ წერაზე არ გაიარეს და ეხლავ იოს არ მიათხოვეს იამზეო.

— ეგე, დაგიდგეს თვალი, არც ეხლა მაჰრჯულდები?!—ნიშნის მოგებით წასძახა გახარებულმა გურგენიმ რაღაც გამოურკვეველის შიშით გაფითრებულ ცოლს და დაუმატა: მა განა ტყუილათ არი ნათქვამი-რა: ყველა საქმე ქვეყანაზედ რიგდება და ცოლ-ქრმობისა-კი ზეცაშიო.

— უი, შენი ჭირიმე, ზეციერო მამა უფალო! მაპატივე, რაცა გცოდე, და ჩამოვა თუ არა იო მთიდამ, მაშინვე ჯვარს გადავწერამ იამზეზე!—თვალებისა და ხელების მაღლა აპყრობით წარმოსთქვა თეონამ და დაუმატა წუთის შემდეგ:

— უი, ვენაცვალე და ვეთაყვანე ჩემ სიძე იოს! აწ რა გზივ შამიყვარდა ეხლა, რო იცოდეთ!.. დახეთ, ჩემ ვარდიკონასავით დახატულ ქალიასაც როგო ეხლავე მოუხედნია ლამაზათ; თქვენა ჰნახამთ, თუ ხვალვე ფეხზე არ ამიყენონ გულ-ნასიამოვნებმა ბედიმწერლებმა! უი, ჭირი მოვჭამე იმათ დიდებულობას!—თავის გულში მუშტის შემოკვრით წარმოსთქვა თეონამ უკანასკნელი სიტყვა.

— ეგე, გურგენი, აკი გითხარ, კაცო, ქორწილის სამზადისს შაუდექ-მეთქი! გოგო, იამზე! შენ რაღას იცრემლები, ქალავ, მა ქვეშაგებში? მეც როცა შენსავით ხებარკალა გოგო ვიყავ და საქორწილოთ მამზადებდნენ —ვიშ, ნეტავ იმ დღეს!—სწორეთ ემაგრე შენსავით სიხარულის ცრემლები ჩამამდიოდა კუნწულა მარგალიტებივით. ადე! ადე, ქალიავ, ხვალე მარიამობაა ბოდბიხევში, დღეობას უნდა წავიდეთ ყველანი დედიდა-შენის მაზლის-წულთან და ქუდი ჰქრსა ვკრათ. ალილო და ხვალეო, ღმერთო შეგვიწყალეო, ორი-სამი კვირის მემრე იოც ჩამოვა მთიდამ, უსურვაზივით ჩაეგრიხე გველაშაპივით ვაჟკაცს და შენ დღეში ივათ აღარ გაჰხდები, ჰო, შენმა გახარებამ!—გულ-მხიარულა ლა-

---

*) იხ. „ივერია“ № 23.

კანონებს ექვემდებარება, და კანონი-კი ამგვარ უფლებას არ იძლევაო.

დასასრულ მიღებულ იქმნა ბ. გ. ზდანოვიჩის რედაქცია.

კრება შესწყდა 2 საათზე 10 წამით.

ისტორიული ცნობა.

8.

ორბელიანთ ამოწყვეტა.

1072 წელს გამეფდა გიორგი II. მალე გამოჩნდა ქვეყანათა მპყრობელი მელიქ-შაჰ. ორბელიანებს გაუხარდათ. ჯერ იყო და ციხე ბაგი გამოსტყუეს მეფის მოხელეთ და მიჰყიდეს განჯის პატრონს ფადლონს. მერე მოვიდა მელიქ-შაჰ, „მტერი ყოველთა ქრისტეანეთა“. მიეგებნენ მას იოანე ორბელიანი და ძე მისი ლიპარიტ. მელიქ-შაჰს იამა, შეიწყნარა იგინი, გარნა... გამოეპარნენ. მათ მოჰყვა მელიქ-შაჰ, აიღო სამშვილდე, მოარბია ქართლი. შემდეგ კიდევ მოვიდნენ თურქნი, მოეფინნენ ქვეყანას, ვითარცა მკალი, მოძოვეს, მოჭამეს საქართველო, მოსრეს და მოაოხრეს კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, ჭყონდიდი.

კვნესა და ტირილი გაისმა საქართველოში, მცირეოდენი-და ერი გადარჩა კლდეთა და ღრეთა შორის, მიუვალს და მაგარს ადგილებში. ზედაც შეირყა დედამიწა, დაანგრია და დალეწა ბევრი შენობა, დაღუპა მრავალი ხალხი.

—

ამ დროს უკვე მეფობდა გიორგის შვილი დავით (აღმაშენებელი). იგი ჯერ ისევ 16-ის წლის ჭაბუკი იყო. სადგურად ჰქონდა შეუვალი წადგლისთავი და სამეფოს საზღვრად დაშთენოდა ლიხის მთა (წადგლისთავი იყო დიდი სიმაგრე წადგლის წყალზედ, რომელიც ერთვის ფცის-წყალს).

—

ჭაბუკმა მეფემ, ამ წადგლისთავს მიიწვია ქვეყნის გულშემატკივარნი და აქ ითათბირა, თუ რა გზით და როგორ უნდა ეშველნათ ქვეყნისათვის. ლიპარიტიც აქვე იყო, ძე იოანე ორბელიანისა.

—

ამის შემდეგ გავიდა ორიოდე წელიწადი. და „ლიპარიტ ამირამან (ორბელიანმა) იწყო მათვე მამა-პაპურთა კვალთა სვლა. დადაცათუ ქრისტიანე იყო სახით, გარნა ორგულებითა“. მზაკვარი შეიპყრა მეფემ და წვრთნა დაუწყო. შეინანა... აპატია, „ხოლო იგი, ვითარცა ძაღლი, მიექცა ნათხევარსა. და, ვითარცა ღორი, ინწუბა საგორელსა მწვირისასა; განაცხადა მტერობა“. იხილა მეფემ, რომ „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კვალად შეიპყრა და წარგზავნა“ საბერძნეთს.

მოკვდა ამ ლიპარიტის ძეც, რატი, კაცი „ორგული და ნამდვილვე ნაშობი იქედნესი“. გარნა ამით არ დასრულდა ორბელიანთა ზღაპარი: კიდევ ერთხელ იფეთქეს და დიდს საშიშროებაში ჩააგდეს მთელი სამეფო.

—

აღმაშენებლის შვილს დიმიტრის ორი ვაჟი ჰყავანდა, დავითი და გიორგი. დავითი იყო კაცი ზვიადი, ამაყი, ურჩი; ამას ხელმძღვანელად ჰყავანდა ორბელიანები, მეტადრე ივანე და თირქაშ ორბელიანები. ეს თირქაშ გაიქცა შაერმანის სამფლობელოში და მაჰმადიანთ ლაშქრით საქართველოს საზღვრების აოხრება იწყო. დიმიტრიმ ტახტი დაულოცა არა მემკვიდრეს, დავითს, არამედ გიორგის. გარნა ორბელიანებმა არ მოუსვენეს დავითს, მიიმხრეს ბევრნი სხვანიც, დიმიტრი ტახტიდგან ჩამოაგდეს, მონასტერში შეამწყვდიეს და გაამეფეს დავითი, რომელმაც მრავალი მოწინააღმდეგენი ამოწყვიტა.

—

საქართველოში მშვიდობიანი ცხოვრება გასწყდა. დავითმა თირქაშ ორბელიანს მიუბოძა ამირსპასალარობა და იწყო სასტიკობა. გარნა უკუღმართებმა დიდხანს ვერ იპარპაშეს. დავით მეფეს იმავე წელს (1156 წ.) შხამი მისცეს. იმეფა სულ ექვსი თვე.

სიკვდილის წინად თავისს ძმას გიორგის, კათალიკოზს, ეპისკოპოზებს და დიდებულებს უანდერძა,--ტახტს ჩემს შვილს დემნას ნუ გამოსწირავთო, როცა ჭასაკად მოვა, იგი გაამეფეთო. თანაც ჩვილი დემნა აიყვანა, აკოცა და აღსაზრდელად გადასცა ივანე ორბელიანს და მოკვდა.

—

იმავე წელიწადს მოკვდა ბერი დიმიტრი მეფეც. გიორგიმ იწყო ხელწიფობა. ამას ცოლად ჰყავანდა ოსთა მფლობელის ასული ბურდუხან და მისგან ეყოლა ასული თამარ, გვირგვინი საქართველოს მეფე-ხელმწიფეთა.

—

ძლიერმა გიორგი მეფემ დაიპყრა მთელი საქართველო, ანისიც-კი. თუ მტერი აღმოჩნდებოდა სადმე, იგი შესძახებდა თავის ლაშქარს: „ფრთოვანნო ლომნო, ჩვენთვის დახვარ-განწონილისა ქრისტესთვის აღვიხვნეთ დახვარნი და ოროლნი და უგმიროთ ურწმუნოთა,“ და მიესეოდნენ და თავზე კაკალს გადაამტვრევდნენ...

—

1177 წელს ბნელი ღრუბელი გადაეკრა საქართველოს ცას. ორბელიანებმა წინ წამოაყენეს დავაჟკაცებული დემნა დავითისძე. ეს დემნა უკვე ივანე ორბელიანის სიძე იყო და ამ სიძის შემწეობით ორბელიანთ ეწადათ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ქვენა სურვილები, ვინ იცის, ისიც აგონდებოდათ, რომ წინაპარივით შექმნილიყვნენ „მეფედ“ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილისა თრიალეთ-კლდეკარიდგან მოკიდებული.

—

გაიმართა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ორბელიანთ გამარჯვება ბნელ-უკუნის გამარჯვებად მიაჩნდათ და ვისაც ქვეყნის ერთგულობა ედო გულში, გიორგი მეფეს მიეხრო. კეთილმა ბოროტს სძლია. ასე.

—

ორბელიანთ სოფელი დარბაზი. აქ არის დემნა, ივანე ორბელიანი და მრავალი მათი მომხრე დიდკაცობა. მსჯელობენ, თუ როგორ გაამეფონ დემნა და როგორ დაამხონ გიორგი მეფე. დაასკვნეს: იდუმალად შევიპყრათო.

—

გარნა ეს საიდუმლო გამოუმჟღავნდათ. მეფემ დიდი ლაშქარი შეიყვანა სომხითში. მტრებმა ლორეს მიჰმართეს, მოიწვიეს მეშველი ჯარი ლეკეთიდგან, კახეთიდგან; ქართლის ერისთავი ლიპარიტ ორბელიანი მისის ორის შვილით ელიკუმით და ივანეთი, მეჯინიბეთ უხუცესი ქავთარ ორბელიანი და ეპისკოპოსი ანანია დვინელი გაგზავნეს სპარსეთისკენ და ითხოვეს შემწეობა სულთან ელდიგუზისა და შაერმანისაგან. გიორგის „ფრთოვან ლომებმა“ შემუსრეს კახ-ლეკნი და მოუშორეს ლორის ციხესაც.

—

მაღალი კოშკების დებედას ხეობაში. ერთს ამ კონცხზე მაღლა აღმართულია ძლიერი ციხე. აი ამ ციხეს შემოუყენა მეფემ ლაშქარი. ციხეში იყო დემნაც. რომ გაუჭირდათ, შეამბოხენი თითო-თითო გადმოუშვნენ ამ ციხიდგან და მეფესთან მივიდნენ და შენდობა ითხოვეს. დემნა ბატონიშვილიც ასრე მოიქცა. მეფემ აიღო ლორე. დემნას თვალები დასწვა, ყველა ორბელიანები ამოსწყვიტა, ამათგან გადარჩნენ მხოლოდ ის მამა-შვილნი, რომელნიც სპარსეთს წავიდნენ მეშველ ჯარის მოსაყვანად და მათ გადაარჩინეს ის თესლი, რომელმაც შემდეგ აღმოშობა საბა-სულხან, ვახტანგ, გრიგოლ...

ბერი.

ჩვენებური ამბები

ბათუმი. 20 იანვარს კრება ჰქონდა ჩვენს ახალს საბჭოს და, უნდა გამოვტყდეთ, ამ კრებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. ამ დღეს, სხვა მრავალ საქმეთა შორის, საინტერესო იყო ქალაქის თავის ივ. ანდრონიკაშვილის წინადადება, ბათუმის რუსეთთან შეერთებისა 25 წ. აღსანიშნავად, სახალხო სახლის და ღამის თავშესაფარის აგების შესახებ. პატივცემული თავადის მოხსენება მჭერმეტყველურად ჰხატავდა ორ ამ ზემო ხსენებულ დაწესებულებათა მეტის-მეტ საჭიროებას ბათუმისათვის. მან განუმარტა საბჭოს, მართალია, ამ დღის აღსანიშნავად, შარშან გადასწყვიტა საბჭომ თეატრის აგება, საზოგადო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს და სახალხო პირველ დაწყებითი სავაჭრო სკოლის დაარსება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ბათუმში, ამ სავაჭრო და სამრეწველო ქალაქში, დიდძალი ქარხნებია, რომლებმიაც ბათუმის მკვიდრთა 25—30% ეწევა ფიზიკურ შრომას. ეს ხალხი მოკლებულია ისეთ დაწესებულებას, სადაც დაღლილ დაქანცულმა მოისვენოს და ზნეობრივ და გონებრივ წყაროს დაეწაფოს; თავისუფალ დროს დუქნებსა და სამიკიტნოებში ლევენ თავიანთ სიცოცხლესო. ამიტომ სასურველია, რომ ამ ელემენტს გაუხსნათ, თუნდა 25 წ. ბათუმის რუსეთთან შეერთებიდან აქამომდე, ჩვენი მოქალაქეობრიობის განვითარების აღსანიშნავად, სახალხო სახლიო, და, თუ საბჭო პრინციპიალურად გადასწყვეტს ამ კითხვას, მაშინ მივმართავთ აქაურ მექარხნე ნავთის მწარმოებელთ და სხვა დიდ დაწესებულებათ, რომ ისინიც დაეხმარონ ქალაქს კერძო შემოწირულებით ამ ფრიად სიმპატიურ საქმეში და იმედია, ისინი ყურს არ მოიყრუებენო. აგრეთვე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქალაქში ღამის თავშესაფარიო. ქალაქის თავი თავის წინადადებას მჭერმეტყველურად იცავდა, მაგრამ, რადგან, ოთხ მოწინააღმდეგეთა გარდა, ყველანი მჭერმეტყველურად სდუმდნენ, ეს წინადადება უარყოფილ იქმნა. ამის შემდეგ განიხილეს რამდენიმე წვრილი საქმე.

ონ-ლიძე.

კავკასია

ბაქო. ქართული საღამო ბაქოში. 26 იანვარს ბაქოს ქართველობამ აქაურ საკრებულო საზოგადო დარბაზში გაჰმართა „ქართული საღამო.“ დიდძალი ხალხი დაესწრო. ბევრნი უბილეთოდ დარჩნენ. დიასახლისებად იყვნენ: კნ. ტ. პ. დადიანისა და ქალბატონი ე. ა. მარკოვსკისა. პასუხის მგებელ გამგედ ქ-ნი ო. დ. ქანანოვისა.

საღამო დაიწყო წარმოდგენით. ითამაშეს „Забава“, 3 მოქმ. დრამა არტურ შნიცლერისა, თარგმანი ვ მ. საბლინისა. ღამსწრეთ მთელი $1^1/_2$ ამით „ართობდნენ“.

ქრისტინას როლი შეასრულა ქალბატონმა ვ. ფ. კომმისარჟევსკისამ. ეს ის კომისარჟევსკისაა, რომლის თამაშითაც ბევრი ბაქოელი მოხიბლულ გატაცებულია.

წარმოდგენამ საზოგადოდ სუსტად ჩაიარა. ასე იყო თუ ისე, ისევ ბოლო ჯობდა. შეიძლება ვსთქვათ გვარიანი იყვნენ ქ-ნი კომმისარჟევსკისა და ბ-ნი რადინი. რაიცა შეეხება ბ-ნ სოკოლოვს, რომელიც ფრანცის როლს ასრულებდა, ღმერთმა შეინახოს. სიყვარულით გატაცებული ქალი ეხვევა, ჰკოცნის, ეალერსება, ისიც თანაუგრძნობს ვითომ, მაგრამ არავითარი გრძნობა არ ყოფილა მის თამაშში გარდა უმნიშვნელო „ხვევნა-კოცნა მტლაშა-მტლუშისა“, რომლითაც იწყება პიესა და „კივილ-ცრემლებისა“, რომლითაც თავდება. ჩემი აზრით, ბევრი არაფერი ყრია-რა შიგ.

ქ-ნმა კომმისარჟევსკისამ 800 მანეთი მიიღო ფასად. პე და ჩემა ღმერთმა რომ ქართველები ყველგან დარდიმანდები ვართ გაცემა-დახარჯვაში, მხოლოდ... სანამ გვაქვს რამე.

წარმოდგენა გათავდა. სცენაზე გაჩნდა საზანდარი. დაუკრეს რამდენიმე სიმღერა. შემდეგ ქ-ნმა ე. ი. ანდრეევსკისამ დამღერა „ორთავ თვალის სინათლევ“, „ახ მერცხალო“ და „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“. ამ სიმღერებს უფრო ევროპიული კილო ეტყობოდა, ვინემ ჩვენებური, მაგრამ რადგანაც უკეთესი მომღერალი არ ჰყავდათ, ამიტომ იგინიც გვარიანად უნდა ჩავთვალოთ.

ბოლოს გაიმართა ევროპიული ცეკვა; ამას მოყვა ლეკური. სხვათა შორის ლეკური იცეკვა ქ-ნმა ანდრონიკაშვილისამ (მსახიობმა).

საღამოზე ალეგრაც იყო გამართული. დიდის მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი ლორთქიფანიძისა, კვრტაშვილისა, კნიაჟნა მიქელაძისა და მათი მომხმარენი, რომელთაც მოაგროვეს საალეგრო ნივთები და ბილეთის გაყიდვასაც უწყობდნენ ხელს.

მადლობა უნდა შევსწიროთ დიასახლის-გამგესაც.

საღამოზე ჰქონდათ ბუფეტიც.

აი ბაქოს წრევანდელი „ქართული საღამო“ მაგრამ ვითომ „ქართული“!? რისთვის ეძახდენ ამ საღამოს „ქართულს“? რა იყო აქ „ქართული“?! არაფერი, გარდა შემწვარ გოჭისა ინდოურისა, მოხარშულ ბეჭისა და საწებელ-საცივისა.

ეს წვრილმანებია, ამაზე არ ჰღირს ბაასი, ეს-კი უნდა ვიკითხოთ: ნუ თუ არ შეიძლებოდა რომ საღამოზე რაიმე „ქართულს“ ჰქონოდა დათმობილი ადგილი? ნუ თუ არ შეიძლებოდა დაბარება ტფილისიდგან ან ქართველ არტისტებისა, ან მომღერლებისა? მით ეჩვენებიათ სხვებისთვის თავიანთი თავი, მით მაინც გაემართლებიათ სიტყვა „ქართული საღამო“! შეეძლოთ, მაგრამ... როცა შენ ბედ-იღბალს „აპეკუნებს“ ჩაუგდებ ხელში, ასე მოგივა...

ჩვენის ქვეყნის ბუნებისა რად არ იყო ცოტა რამ მაინც ამ საღამოზე?..

მეტყვიან: „ჩვენთვის, როგორც ღარიბ ხალხისათვის, სახრავი სჯობს სახელსაო“. მრწამს, მაგრამ, მაშინ რად არ უწოდეს ამ საღამოს, რუსები რომ იტყვიან, „просто ,,вечеръ въ пользу общества распространенія грамот. среди грузинъ''? ,,грузинскій вечеръ“ რა საჭირო იყო?..

შემოსავალი 3,000 მანეთზე მეტი უნდა იყოს. დარჩენითაც უნდა დარჩეს 1,500-მდე წმინდა შემოსავალი.

პ. მაჭავარიანი.

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟში ხმა გავარდა, დრეიფუსის საქმე ხელახლად უნდა გაირჩესო. პირველად არავის მიუქცევია ყურადღება ამ ხმებისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჟორესმა ლათინთა უბანში მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა, ყველა დარწმუნდა, რაღაცას ეპირებიანო.

მიტინგი „Mano Negra“-ს პროცესის მსხვერპლის სასარგებლოდ იყო გამართული. „Mano Negra“-ს საქმე ამ ოცი წლის წინედ მომხდარა ისპანიაში. ეს საქმე დრეიფუსის საქმის სრული ანალოგიაა. როგორც საფრანგეთში, ისე ისპანიაშიაც გაიღვიძა მიძინებულმა საზოგადოებრივმა სინიდისმა და ჭეშმარიტების ნაპერწკალმა. და ეს ოცის წლის უკან მომხდარი უკანონობა ახლა უნდა გაარჩიონ და განიხილონ. სწორედ რომ ამ საქმის სასარგებლოდ საფრანგეთის ადამიანის უფლების დამცველმა ლიგამ გამართა მიტინგი, რომ მით მხარი დაუჭირონ და ზნეობრივად დაეხმარონ „Mauo Nedra“-ს შესახებ სარევიზიო კომისიას.

ჟორესმა სთქვა: „დრეიფუსის საქმის განხილვა არა თუ აუცილებელია, არამედ მოახლოვებულიცაა ხელ-ახლად გადასინჯვის წამი. როგორც ისპანიაში, ისე საფრანგეთშიაც უკანონობისა და უსამართლობის მსხვერპლი სრულს პასუხს გებას და დაკმაყოფილებას მოითხოვს. ზოლა ვერ მოესწრო და ვერ ეღირსა სრულს აღდგენას სიმართლისას, მაგრამ ოდნავადაც არ ეჭვობდა, რომ სიმართლე, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, უსათუოდ გაიმარჯვებდა. ისინი, ვინც დარწმუნებული ბრძანდებიან, რომ დრეიფუსის საქმე გათავდაო, მალე დაინახვენ თავიანთ შეცდომას. არა, ის არ დასრულებულა არც პატიებით და არც ამნისტიით; მხოლოდ მარტო მართლ-მსაჯულობას ძალ-უძს ბოლო მოუღოს დრეიფუსის საქმეს. მთავრობის კაცები უნდა სცდილობდნენ მხარი დაუჭირონ ამ საქმეს, თუ ვალდებულად არ ჰსახვენ თავიანთ თავს, ის მაინც იქონიონ გულში, რომ ამით პოლიტიკურს ნდობას მოიპოვებენ. მალე გამოჰქვეყნდება და გამომჟღავნდება ახალი უსამართლოება, რაიც დიდ ხმაურობას და ალიაქოთს ასტეხს საზოგადოებაშიო“.

ჟორესის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მის სიტყვას დიდ მნიშვნელობას აწერენ, რადგანაც დარწმუნებულნი არიან ჟორესი არაფერს არ აჰარბებს, რადგანაც საქმის ვითარება კარგად ესმის, ის 1898—99 წლებში დრეიფუსის საქმის გადასინჯვის მეთაურად ითვლებოდაო. ამბობენ, რომ ახალი საბუთები უკვე მზათა აქვთო. ქართველი მკითხველისათვის უკვე ცნობილია დრეიფუსის საქმე, ისიც კარგად მოეხსენება, რომ დრეიფუსი სრულიად არ გაუმართლებიათ, არამედ მას აპატიეს დანაშაულობა (თუ სიმართლე?) მაშ არაფერი გასაკვირი არ იქნება, რომ დრეიფუსის პროცესმა ხელ ახლა წამოჰყოს თავი. საფრანგეთში თუ უკანონობა მოხდება, ან-კი მომხდარა ოდესმე, არასოდეს არ დაიმალება. ეს თვისებაა საფრანგეთის ერისა.

თეატრი და ხელოვნება

Н. Кленовскій.—Пѣснопѣнія на литургіи Св. Іоанна Златоустаго Грузинскіе (кахетинсскіе) распѣва.

ჩვენი საეკლესიო მუსიკა ძლიან ცოტად არის ცნობილი. ჯერ არ გამოჩენილა კაცი, რომელსაც თავი გამოედო ამ საქმისათვის და გამოერკვია ამ მუსიკის თავისებური კანონები ჰარმონიისა და შეიხზვისა (კონტრაპუნქტისა). საერო მუსიკას უკეთესი ბედი ჰხვდა: ამას უფრო იკვლევდნენ, ამაზედ უფრო სწერდნენ, ამის გულისათვის იგზავნებიან სამუსიკო ექსპედიციები ფონოგრაფით. საეკლესიო მუსიკისათვის-კი ამისთანა არა გაუთებიათ-რა და, თუ დაწერილა რამ მის შესახებ, ისიც საზოგადოდ. ეტყობა, საეკლესიო მუსიკის ჯერი ჯერ არ მოსულა, ელის თავისს მუშაკს, რომელიც ჩასწერს, რასაც-კი ჩვენამდის მოუღწევია, შეამოწმებს, რაც-კი შეკრებულია და შეუდგება დაწვრილებით გამოკვლევას.—სანამ-კი ასეთი მუშაკი გამოჩნდებოდეს, შევჯერდეთ ბ-ნ კლენოვსკის ნაწარმოებს, რომელიც წარმოგვიდგენს პირველს შემუშავებას ქართულის (კახურის) საგალობელისას ოთხ ხმად.

თავისს წინასიტყვაობაში ბ-ნი კლენოვსკი ამბობს, ლიტურგიის წერილი სახალხო სკოლების დირექტორმა ხ. ნ. გრიზდოვმა გადმოსცა. ეს წერილი დაწერილია „ორმოციან წლების და-

პარაკობდა მარეხი.

— შენი ჭირიმე, შვილო, იო! მინამ შენ მთიდან ჩამოხვალ, თვალები შენი გზისაკენ დამწყდება. ვიშ, აწ როგორი საყვარელი ყოფილა, ქა, სიძე! იამზეზე მეტათ ეხლა ის მიყვარს და იმისი ნახვა ძალზე მწყურიან და მენატრება. ნეტავი ეხლა აქ მაინც იყოს, რო...

კიდევ რაღაც უნდა ვთქვა სიძის სიყვარულით აღსავსე თეონას და მარეხიმ გააწყვეტინა სიტყვა:

— ყველა ყველაა, მაგრამ რატო იგრე ვჩადივართ, ქა, სული ბურდოში არ გავხვიოთ და საჯოჯოხეთოდ არ გავიხადოთ. უწინდელი დრო ხომ ალარალი! რო ჩვენ ქეიფზე ვჭრით და ვკერამთ, რატო ერთი იამზეს-კი არა ვკითხამთ: უნდა თუ არა ი თქვენი ნაქები მწყემსი? მემრე რო ერთი გაჰქირი ქნას დიდყურასავით, ტლინკების ყრით გაგვხეთქოს ყველანი და შაგვარცხვინოს—აჰყი არ იქნება ჩვენთვინ! გოგო, იამზე! შაირთამ, შვილო, იოს? რატო ხმას არ იღებ, გოგო! გინდა იობი თუ არა? ეეე, როცა ხმას არ იღებ, ძალიან გემდომება, შე დასაქცეო! ან-კი ვინ არ მაიმდომებს აიგეთ ყოჩაღსა და თვალ-ტანად ვაჟკაცს.

— ოღონდაც, რო ყველა მაინდომებს, ვისაც-კი თავში ქვა უყრია პატაოდენი,—კვერი დაუკრა გურგენიმ.

— რას ამოპთ, ქა, რატო მაგრე ხამურათა ჰლაპარაკობთ, იტყვი ყმაწვილები არიან და ქვეყნიერობისა არა იციან-რაო, აღუუ, ნეკზე არ მიკბინოთ! როცა ბედის წერის დავთარში ცოლ-ქმართ ჩაუწერიათ, ათასიც რო იტლინკონ, ერთმანეთს ველარსაით წაუვლენ,—თავ-მომწონედ ისოლომონბრძენა თეონამ და სახის დამცინავი მეტყველებით აგრძნობინა: „თქვე გამოუყეყეჩებულო ბენტერებო, ეს რატო გავიწყდებათო“.

— მართალი ხარ, თეონავ, მართალი! დაჰლახვრა ღმერთმა, რატო დამავიწყდა ის ამოსაწყვეტი ბედიმწერლები. ეჰ, შენ დაილოცე უფალო, ჩემ დაწყევლილ ბედიმწერლებსაც რო ფარსაგი ქმარი ერგუნებინათ ჩემთვინ, მე რაღა დამაბერებდა? ჩემ ქმარს ცხვირი ჯოჯოხეთის სანაყელს უგვანდა და უსიცოცხლო თვალები—მჭადის ჰუჰუტანას, მაგრამ სიმახინჯით კაცი არ დაიწუნება და ამას ვინლო იჩივლებდა, რო გამრჯელი მაინცა ყოფილიყო. ქვეყანამ ქვიტკირის სახლები აიშენა შრომითა და გარჯილობით, და ჩემი ქმარიკი იგეთი კუდით სათრევი მცონარა იყო, ის ჯოჯოხეთის გენიაში ასაძაღლებელი და ასაკატებელი, რო ერთი ზურგი კუწკუწაც ვერ მოვატანინი ხოლმე ტყიდამ და სიცივით ვიყინებოდით ზამთარში. ჩოწნეხილი ქოხი კიდე თავზე დაგვექცა ერთ ღამეს ნამძინარევს, მაშინ დამიშავდა ჩემი მაცხოვრებელი მარჯვენა მკლავიც და რის შავის დღით გამოვზარდე წვრილი ობლები. ღმერთო მაღალო! აწ როგოლა ვარ ცოცხალი ამ შაუბრალებელ ქვეყანაში, იმოდენა შავბნელ დღეების მნახავი უბედური!.. ადე, გურგენი! ადე, მოუღერე ქოცოს ყელი, კაცო! და გაგვიშალე შენც, თეონავ, ქანდიკეთილო, თორე, უკაცრაული პასუხია, ჩემ ცარიელ მუცელში დოლაბანდს უკრამენ და ლეკურსა თამაშობენ. თქვენ პატა ლუკმა შამაჭამეთ და ზიარებაც ჩამაყლაპეთ, და მემრე უფრო იგერთ იგეთებს მოგიყვებით სუფრაზე მეჭტვირესავით, რო ჩვენი ავადმყოფი ჩიტივით წამოფრინდეს, იოსთან მიფრინდეს, ყველაფერი ახაროს, გაახარიას და გაიხაროს,—მასლაათობდა და მარილიანად ოხუნჯობდა ქეიფზე მოსული დედა-ბერი მარეხი, რომელიც ჯერ ისევ ჯანიანი, მხნე, გულ-გაუტეხავი, გამჭრიახე და თამამი მოლაპარაკე იყო. ისეთი გულ-შემზარავი კივილ-ჭიხჭიხით წაეჩხუბებოდა ხოლმე მარეხი თავის გამჯავრებელ მეზობელს, რომ „აჰტყდა ეხლა-კი ჯოჯოხეთის აფთარი და მაგას რაღა ეშმაკი დააჩუმებსო!“—ამბობდნენ მისივე მეზობლები უჩუმრა, რადგანაც ეშინოდათ: ჩვენც არ გვეძგეროს ფოცხვერივითო.

ცოტა ხნის შემდეგ სამნივ სამხარს შეექცეოდნენ სამხიარულო მასლაათით. ნამგალა მთვარესავით დალეული იამზე-კი გაჩუმებულიყო ქვეშაგებში და ტკბილის ოცნებით დამთვრალი თავისი გულის საყვარელს იოს ეალერსებოდა, ეხვეოდა და ჰკოცნიდა, გულსანეტარო ფიქრში გართული.

V.

მთელ ქიზიყს წლის სარჩო-საბადებელი ჩაეკლო და ვენახები-ღა ჰქონდა დასაკრეფი. რქაწითლის მოწეული მტევნები ცეცხლივითა ღუოდნენ ვაზებზე და გაცხარებულ ქვევრების რეცხვა და რთვლის სამზადისი იყო ოთხსავ-კუთხივ.

დაღისტნისა და თრიალეთის მთებიდან დაიძრნენ ბარისაკენ ცხვრის ფარები. მთელი ქიზიყისა და თუშ-ფშავ-ხევსურთა აუარებელი ცხვარი ქიზიყის თვალ-გადაუწვდენელ მინდვრებისაკენ მოაბნელებდა მთა-ველ-მინდვრების გაჭიმულ შარა-გზებს. „კრრრ! ჰეჰეე!.. ჰიტ! ჰიო!“—დასძახოდნენ და მოერეკებოდნენ გძელ-ჩომბახიანი მეცხვარენი ცხვრის ფარებს.

ნამთევ ცხვარსაც და მწყემსებსაც ახლა ბარისაკენ მოუხაროდათ ჟივილ-ხივილით. ყაყაჩოსავით დაწითლებული მეცხვარენი სხვადა-სხვა სამიჯნურო ლექსებსა მღეროდნენ გზა-და-გზა და მეცხვარე იოს ამხანაგიც ამღერდა და აღუღუნდა გულ-მხიარულად:

მწყემსო, ჩამოდი მთიდამა,
ქალამზე გელის ბარათო,
ილევა მთვარესავითა,
სიცოცხლე უჩანს არათო;
არც არასა ჰჭამს, არცა ჰსვამს,
ოხრავს და კვნესის მწარათო,
შენ აგონდები დღე და ღამ,
ცრემლებს აწვიმებს ღვარათო!

„გატიალდეს და გამუდრეგდეს ღარიბი კაცის გაჩენის დღე! ობოლ-უპატრონოს მე რომელი-ღა ქალამზე მიმელის, ჩემთვინ ვინ რას გაიმეტებს! ეჰ, ღმერთსაც სწორე სამართალი არა ჰქონია, არა! მე რაღა დაუშავე იმ დალოცვილს!..“—ასე ფიქრობდა უიმედობით გულ-მოკლული იო ამხანაგის სიმღერის შემდეგ. მწარე ფიქრებში გართულს იოს გულ-დამდაგავად შეებრალა თავისი პატარაობიდგანვე მრავალ-ტანჯული თავი და თვალებში მოგუბებული ცრემლები ბრჭყვიალა ალმასივით გაუბრწყინდა გულ-ამღვრეულს.

ერთის თვის შემდეგ ეკლესიაში დაგვირგვინებული იო განთიადის ცისკარივით გიზგიზა იამზეზე ჯვარს იწერდა, სიხარულით ცაში ფრინავდა და ცა-ქვეყნის დამბადებელს გულმხურვალედ ევედრებოდა გუნებაში; „მაპატივე, ობოლთა მოწყალე მამა-უფალო. მაპატივე! ჩემზე ბედნიერი ადამიანი მთელს დუნიაზედაც არ გაგიჩენია და ღახე, მე-კი როგო გემდურებოდი ხოლმე ჩემი ჰკუა-მოკლე უგუნურობით“!

დ. მაჩხანელი.

წეისში იმ დროს ქუთაისში ცნობილის პედაგოგის ა. გ. მრევლიშვილისაგან (გარდაიცვალა 1889 წ.), რომელიც ქართულ გალობის მცოდნედ ითვლებოდა. ა. გ. მრევლოვმა ჩასწერა სამივე ხმა—ორის ტენორისა და ერთის ბასისა (პირველი მთქმელი მოძახილი და ბანი) კარნახით შუამთის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ სოფრონისა, რომელიც იყო განთქმული ძველებურ კახურ საეკლესიო გალობის მცოდნედ. ეს ხელნაწერი, უეჭველია, პირველი და უძველესია და ამ მხრით დიდ ღირსებად ჩაეთვლება. ეს ხელნაწერი დაედო საფუძვლად ჩვენს ნაწარმოებსაო“,—დასძენს ბ-ნი კლენოვსკი.

რა იყო მრევლიშვილის ხელნაწერი, ჩვენდა სამწუხაროდ, არ ვიცით; ბ-ნ კლენოვსკის გადმოდებულში-კი შეუძლებელია მის შესახებ კაცმა რამე დაასკვნას, რადგანაც ბ-ნ კლენოვსკის ყველაფერი გადუკეთებია, გარდა პირველის მთქმელისა, რომელიც შეიქმს მელოდიას. თუ იმ ხელნაწერში ხმები სისწორით იყო ჩაწერილი, უნდა იმ აზრს დავადგეთ, რომ ჰარმონიისა და კონტრაპუნქტის კანონის მხრივ მრევლიშვილის ჩაწერილი საგალობელნი ისეთივე, ან თითქმის ისეთივე იყვნენ, როგორსაც ვხედავთ ახლანდელ კრებულებში ბ-ნთ იპოლიტოვ-ივანოვისა, მღ. ვ. გ. კარბელაშვილისა და სხვებისაში. ამის და მიხედვით შეგვიძლიან ვსაჯოთ, რა ღირსებისაა ესა თუ ის ჰარმონიული შემუშავება საგალობლისა, ე. ი. დაცულია თუ არა ზემოხსენებული თავისებური კანონები.

ბ-ნი კლენოვსკი სწერს თავისს წინასიტყვაობაში, საგალობლის შემუშავების დროს ვცდილობდი დამეცვა გალობის კილო და მელოდიის სიმართლეო. მაგრამ საკითხავია, რას ნიშნავს ბ-ნ კლენოვსკის თქმით სიტყვა კილო: ევროპულს გამმასა, თუ საშუალო საუკუნეთა გლარეანის კილოსა, ბიზანტიურს კილოსა, არნოლდის სწავლისამებრ, თუ ქართულს კილოს გალობისას? უკეთუ ბ-ნ კლენოვსკის ნაწარმოებს დავაკვირდით, აღმოჩნდება, რომ მისი საგალობელი შემუშავებულია ხან აწინდელ—ევროპულს გამმაზედ, ხან საშუალო საუკუნეებისა და ხან ძველ ბერძნულს კილოზედ, რომლებიც, ლიადამე, სრულიად არახასიათებენ ქართულს გალობას. ჩვენს საგალობლებში ცხადად სჩანს თავისებური ტეხნიკური წყობილობა, თავისებური კანონები, რომელთაც კაცი გვერდს ვერ აუქცევს, თუ არ უნდა მუსიკის ხასიათი დაამახინჯოს. თუ ამ მხრით ბ-ნ კლენოვსკის თხზულება გავშინჯოთ, ფრიად დიდ ნაკლს შევამჩნევთ. ხშირად სახავთ, რომ მისი ქართული საგალობელი, ქართულად დაწყებული, ჯერ რუსულ-ევროპულს ტურჩანინოვისებურს გალობად იქცევა და მერე გადადის ჰანგებზედ ზოგიერთ რუსის კომპოზიტორებისას, რომელთა ჩვეულებრივი რუსული მელოდიები ძველ ბერძნულს ან საეკლესიო კილოზედ შეუმუშავებიათ; ან არა და ჯერ ამ კილოებით იწყება და მერე ტურჩანინოვისებურით თავდება,—მაგალითად: „წყალობა მშვიდობა“, „სულისაცა შენისათანა“, „სამებისა ერთ არსებისა“ და სხვ.

ისეთს შესანიშნავ მოვლენას, როგორიც ჩვენი მოძახილია, ბ-ნ კლენოვსკის თხზულებაში ვერ შეხვდებით; ვერც ისეთს აკორდს, როგორც კვარტ-სექსტ-აკორდია, რომლითაც იწყება ჩვენის საგალობლების უმრავლესობა; ვერც ასეთს თავისებურს კადანსებს, როგორც ცარიელი კვინტაა, უნისონი ან ოქტავა,—ყველა ეს გაუქმებულია და ხმის ნაცვლად შემოღებულია ჩვეულებრივი ევროპული სამხმოვანობა, რის გამო ჩვენი თავისებური საგალობლები უცნაურ და არეულ ევროპეიზმად გადაიქცა.

თუ კაცს უნდა, რომ ქართული გალობა ქართულად დარჩეს, ეგრე უგულვებელ როდი უნდა ჰყოს მისი ტეხნიკა, მრავალ საუკუნების განმავლობაში ხალხისაგან შექმნილი. ბ-ნ კლენოვსკის მთელის წიგნიდგან მხოლოდ რამდენიმე საგალობელია ისეთი, რომელსაც ახალს ჰარმონიულს ქერქშიაც მაინც შერჩა ქართული ხასიათი, და მით გვიმტკიცებს, რომ ფრიად შესაძლებელი იყო ასეთივე ხასიათი ავტორს სხვა საგალობლებისათვისაც შეენარჩუნებინა. განა მარტივსა და თავისებურს ქართულს გალობას შეჰშვენის ასეთი აკორდები, როგორც კვინტ-სექსტ-აკორდი ან დომინანტ-სეპტ-აკორდია?—ეგ მხოლოდ ბორტნიანსკის დროს შეიძლებოდა მაგისთანების შემოღება რუსულს საეკლესიო მუსიკაში: ამრიგად, დასასრულ უნდა ითქვას, რომ ბ-ნმა კლენოვსკიმ ერთობ ვერ დაიცვა ქართული ხასიათი თავისს გადმოკეთებულს ქართულ საგალობლებში. ქართულს საგალობელს უნდა ჰქონდეს თავისი ჰარმონია, მართალია ეს ჰარმონია რთული არ არის, მაგრამ მაინც თავისებურია. დიადმე არ უნდა დარჩეს ქართული საგალობელი იმ პირვანდელ სახით, რომელიც აქამდის შეინარჩუნა, მაგრამ არც ისე უნდა შემუშავდეს, რომ ხალხმა თავისად ვეღარ იცნოს, და ბ-ნ კლენოვსკის ნაწარმოებიც გვიმტკიცებს, რომ ავტორს შეეძლო ისე შეემუშავებინა საგალობლები, რომ ქართული ხასიათი არ დაჰკარგოდათ. რასაკვირველია, ქართულ საგალობლების შემუშავება მცირე შრომა როდია და ბ-ნმა კლენოვსკიმაც ჩვენი პატივისცემა დაიმსახურა მით, რომ ეს საქმე პირველმა ითავა. თუ მისს შემუშავებულს საგალობლებში ქართული ხასიათი არ ვქიეთ და ევროპულს, ზოგჯერ თავისებურს ხასიათს შევჯერდებით, უნდა აღვიაროთ, რომ მისი საგალობლები მცოდნე მემუსიკეს ნაწარმოებია. მარტო ისეთ საგალობლების ჰარმონიზაცია, როგორც „მრწამს ერთი ღმერთი“ და „მამაო ჩვენო“-ა, იმდენად სასიამოვნო მოსასმენი იქნება საეკლესიო მუსიკის მოყვარეთათვის, რომ უეჭველია, ესენი ბ-ნ კლენოვსკის მადლიერნი დარჩებიან.

დიმიტრი არაყიშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ.

I

თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმეს მადლობას ვუცხადებთ „ივერიის“, „მწყემსის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს, რომელთაც კეთილინებეს და წარსულ წელს გვიგზავნეს ტომსკის ქართველ სტუდენტებს თავიანთი გამოცემანი: პირველთ უსასყიდლოდ და უკანასკნელმა—ნახევარ ფასად. ვსთხოვთ უმორჩილესად ამ წელსაც მოგვწოდონ.

ტომსკის ქართველ სტუდენტების მონდობილობით სტუდ. პავლე გარსიაშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 იანვარი.

კიევი. მიტროპოლიტ თეოგნოსტის დასაფლავება: სულის მოსახსენებელი წირვა გარდაიხადა 8 საათზედ არხიეპისკოპოსმა ფლაბიანემ აუარებელ მღვდელთა და ბერთა თანამწირველობით. სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა თეოდოსიმ სიტყვა წარმოსთქვა. ანდერძიც არქიეპისკოპოსმა ფლაბიანემ აუგო. ორ საათზედ გვამი მიასვენეს ჯვართამაღლების ეკლესიაში. დაკრძალვის შემდეგ გაიმართა სადილი მწირველთათვის, ამას გარდა ღარიბ ხალხს გაუმართეს სადილი.

სოხუმი. საბჭომ პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი აირჩია თავისს საპატიო წევრად.

მიტავა. სახალხო განათლების მინისტრმა ნება დართო, რომ ადგილობრივ გაიმართოს სახალხო „კითხვები“ ლატიშებთა და ესტონელთა ენებზედ, ხანდახან-კი რუსულზედაც.

მოდიკა. დიდით საშინელი გმინვა მოისმოდა მიწიდგან.

ლვოვი. ცეცხლი გაჩნდა, დაიწვა დიდძალი სახლები. უსახლკაროდ დარჩა 500 ოჯახი.

რომი. მეფემ დროებით ჩააბარა გარეშე საქმეთა სამინისტრო ზღვათა მინისტრს.

სტამბოლი. „სტამბოლის სააგენტო“ იუწყება, ცნობა ჯარის გამოწვევის შესახებ ტყუილიაო.

ბათუმი. მანთაშევს 800,000 მან. ზარალი მოუვიდა ქარხნის დაწვით. ქარხანა დაზღვეული ყოფილა საზოგადოებაში „რუსეთი“ და „პეტერბურგში“. ხის მასალა დაზღვეული ყოფილა მესამედ ფასში.

29 იანვარი.

სტამბოლი. ბოროტგამზრახველს, რომელმაც სომხის პატრიარხს ორმანიანს ესროლა და მის უახლოეს თანამოზიარეს სიკვდილი მიუსაჯეს, სამს-კი სხვა-და-სხვა სასჯელი, მათგან ორს სამუდამოდ დაპატიმრება. დამნაშავეებმა გამოაცხადეს, რომ განზრახვა ჰქონდათ გამოჩენილ სომხებისათვის დამუქრებით ფული დაეტყუებინათ, სომხის კომიტეტან-კი არავითარი კავშირი არა გვქონიაო.

ლონდონი. “რეიტერის სააგენტომ შეიტყო, რომ ბოუენსა მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკება არ შეწყდარა და იმედია მალე დასრულდება. სამი სახელმწიფო სრულის თანხმობით მოქმედობენ.

ბერლინი. მოლაპარაკება, რომელიც აქ ჰამილტონსა და ლანგს ჰქონდათ, დასრულდა შეთანხმებით გერმანელთა და ფრანგთა შორის, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ბაღდადის რკინის გზის გაყვანაში.

ტანჟერი. პრეტენდენტს მოუვიდა მეშველი ჯარი საჰარის საზღვრებიდგან. იტალიის სამხედრო მისია დაბრუნდა ფეციდგან.

კარაკასი. 1500 აჯანყებულმა აიახრეს რიოჩინოს ოლქი მათ საწინააღმდეგოთ გავიდა 2000 ჯარის კაცი, ორის ზარბაზნით, სამხედრო მინისტრის მეთაურობით.

სტამბოლი. გადაწყვეტილა პრინციპიალურად მოახდინონ პარიჟში ახალი სესხი 200 მილიონის ფრანკისა. საფრანგეთის მართებლობამ დახმარება აღუთქვა. ილდიზ-კიოსკში შეწუხებული არიან იემენში მომხდარ ამბებითა. როგორც იუწყებიან ამბოხება ვრცელდება. ეშინიანთ, რომ ინგლისისაგან დაქრთამებულმა და შეიარაღებულმა აჯანყებულ თემების შეიხებმა მექა და მედინა არ დაიჭირიან.

პეტერბურგის ბირჟა, 28 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,85
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,70
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	460 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	371 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	308¼ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა	4225 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	191 გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3(საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი·

ტფილისის სამოსამართლო პალატაში 1 თებერვალს განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) დავა პეტრე ჯამკაშიასი და გუსტავ პოლარისა.

2) დავა გრიგოლ დემეტრაშვილისა და ივანე არუთინოვისა.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

აბრეშუმის ჭიის თესლი

ძმათა პასხალიდთა.

ამ თვის გასვლამდე ამ ცნობილის ფირმის კომპანიონი პროფ. ლ. ბეზანსი ჩამოვა ტფილისს და ჩამოხტება ვეტცელის სასტუმროში —მიხეილის პროსპ. წვრილ-წვრილად ყიდვა თესლისა შეიძლება კავკასიის საიმპერ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასა და მუშტაიდის საამრეშუმო სადგურში.

(8—6)

GRAND PRIX

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія

“Лѣсная Фіалка“

ლაბარატორია

რის გუტმანისა

მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.


ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსასპობლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ჭია-ღუს წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბეჭერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში.

(40—6.—4)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა ავაშენო ნაღვარევის საძრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ-რა ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. обл. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა**, თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი**, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით და ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი**, მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

6—5.

საბუჰგალტერო კლასები

დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

საბუჰგალტერო კლასებს აზრათა აქვს მისცეს მსურველთ, შედარებით მოკლე დროს განმავლობაში, საკომერციო განათლება, პრაქტიკულისა და თეორიულის მეცადინეობის შემწეობით მოამზადოს **ბუჰგალტრები, კორესპონდენტები, კანცორშჩიკები** და საზოგადოდ მოხელენი სავაჭრო საქმეებისა. კურს დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები**. ხოლო საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი** სამსახურში.

სასწავლებელში მიიღებიან **ორისავე სქესისანი**, 15 წლისაზე არა ნაკლებნი. სულ ორი განყოფილებაა: მე 2-ში მიიღებიან ვინც წარმოადგენს საქალაქო სასწავლებელში ან პროგიმნაზიაში კურსის დამთავრების მოწმობას, ხოლო პირველში—უმოწმობონი. სწავლა თითოეულ განყოფილებაში 5 თვეს სწარმოებს საღამოობით—5—9 საათამდე.

ისწავლება შემდეგი საგნები:

ბუჰგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მბეჭდავ მაშინაზედ.

წელს მოწვეულნი არიან მასწავლებლებად: ინჟენ. მ. ი. **ჩენგერი** და ს. პ. **ილიინი**, იურისტები: ა. ი. **მიტკევიჩი** და ვ. ფ. **სულევსკი**, მასწავლებელი ი. ი. **ბრონ ფონ ბრენნერი**, ს. ე. **კოზლოვი**, ო. ა. **სოკოლოვი** და სხვანი.

ფასი მთელის კურსისა პირველ განყოფილებაში 60 მ. მეორეში 75 მ. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. სწავლა დაიწყება 20 იანვარს. ცნობათათვის შეიძლება მიმართონ კლასების სადგომში, ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 88.

(10—473—10)

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кв. Гр. Н. Лівсикидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი